დანართი 1

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღიარებს საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებულ ბაკალავრისა და მაგისტრის აკადემიურ ხარისხს.

2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღიარებს საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებულ დოქტორის აკადემიურ ხარისხს იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დაწესებულების შესაბამის ფაკულტეტზე დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისადმი წაყენებული მოთხოვნები შეესაბამება „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტს“ და შესაბამისი ფაკულტეტის „დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებას“. დასკვნას შესაბამისობის თაობაზე წარმოადგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. გადაწყვეტილებას საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებული დოქტორის აკადემიური ხარისხის აღიარების თაობაზე იღებს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო სათანადო დოკუმენტაციის განხილვის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის საფუძველზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღიარებს უცხოეთის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებულ ბაკალავრისა და მაგისტრის აკადემიურ ხარისხს, სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული, შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ავთენტურობის ცნობის საფუძველზე.

4. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღიარებს უცხოეთის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებულ დოქტორის აკადემიურ ხარისხს, სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული, შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ავთენტურობის ცნობის საფუძველზე. გადაწყვეტილებას უცხოეთის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებული დოქტორის აკადემიური ხარისხის აღიარების თაობაზე იღებს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო სათანადო დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.